GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

31 Mart /მარტი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 694.6	9 141.4	9.4%	13.9%	2.4 %

Tiflis Havalimanı Terminalleri ve Çevresinin Geliştirilmesine 5 Milyon ₾ Yatırım Yapıldı - TAV Georgia

თბილისის აეროპორტის ტერმინალების და მიმდებარე ტერიტორიის განვითარებაში ₾5 მლნ-ის ინვესტიცია ჩაიდო - TAV Georgia

Yolcu trafiğinin artmasıyla birlikte TAV Georgia, Tiflis Uluslararası Havalimanı altyapısına yatırımlar yapmaya devam etmektedir. Son 1 yıl içerisinde Tiflis ve Batum havalimanlarının işletmecisi, Tiflis terminalleri ve havalimanı çevresindeki alanın altyapısının geliştirilmesine 5 milyon lari tutarında yatırım gerçekleştirmiştir.

TAV Georgia'ya göre, altyapı çalışmaları kalkış terminalinin pasaport kontrol alanında gerçekleştirilmiştir. Söz konusu alan %61 oranında 710 m²'ye kadar genişletilip bu alanda pasaport geçiş noktalarının sayısı %44 artarak 18'den 26'ya çıkmıştır. Ayrıca, kalkış terminalinde Primeclass Lounge alanının %84 oranında artırılmasıyla birlikte havaalanı hizmetlerine yolculara güvenlik ve sınır kontrolünden hızlı geçme imkanı sağlayan hızlı çıkış (Fast Track) eklenmiştir.

Varış terminalinin pasaport kontrol alanı %36 oranında 925 m²'ye kadar genişletilmiştir. Aynı alandaki pasaport geçiş noktalarının sayısı 18'den 26'ya yükselmiş olup, %44 oranında bir artış kaydedilmiştir. Terminalin iç mekanına binanın işlevsiz terasları da entegre edilmiştir.

Ayrıca, yolcular için konfor oluşturmak ve havaalanının operasyonel süreçlerini geliştirmek amacıyla Tiflis Uluslararası Havalimanı'nda yepyeni yolcu ve yük asansörleri kuruldu.

Terminallerin çevrelerine gelince - yolcu terminalinin önünde 7700 m² alan üzerine yolun yapay kaplaması yenilenip yeni otopark alanları düzenlenmiştir. Bu aşamada Tiflis Uluslararası Havalimanı çevresinde 1100 araç kapasiteli otopark alanları bulunmaktadır.

Gürcistan'da 20 yıldır faaliyet gösteren ve Tiflis ve Batum uluslararası havalimanlarını yöneten TAV Georgia'nın bu süre zarfında ülkeye gerçekleştirdiği toplam yatırım, bugün itibariyle 227.000.000 Amerikan Dolarını aşmaktadır.

მგზავრთნაკადის მატების ფონზე TAV Georgia განაგრძობს ინვესტირებას თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურაში. ბოლო 1 წლის განმავლობაში თბილისისა და ბათუმის აეროპორტების მმართველმა კომპანიამ თბილისის ტერმინალებისა და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განვითარებაში 5 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია ჩადო.

TAV Georgia-ს ინფორმაციით, ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა გაფრენის ტერმინალის საპასპორტო შემოწმების ზონაში. აღნიშნული სივრცე 61%-ით გაფართოვდა (710 მ²-მდე), საპასპორტო გამშვები პუნქტების რაოდენობა კი ამავე ზონაში 18-იდან 26-მდე გაიზარდა, რაც 44%-იანი მატებაა. ასევე, გაფრენის ტერმინალში Primeclass Lounge-ის ფართობის 84%-ით გაზრდასთან ერთად აეროპორტის სერვისებს დაემატა სწრაფი გასასვლელი (Fast Track), რაც მგზავრებს საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში სწრაფად გაიარონ უსაფრთხოების და საზღვრის კონტროლი.

36%-ით გაფართოვდა (925 მ²-მდე) მოფრენის ტერმინალის საპასპორტო შემოწმების ზონა. ამავე ზონაში საპასპორტო გამშვები პუნქტების რაოდენობა 18-დან 26-მდე გაიზარდა, რაც 44%-იანი მატებაა. ტერმინალის შიდა სივრცეში ინტეგრირდა შენობის უფუნქციო ტერასებიც.

ასევე, მგზავრებისთვის კომფორტის შესაქმნელად და აეროპორტის ოპერაციული პროცესების გასაუმჯობესებლად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დამონტაჟდა სრულიად ახალი სამგზავრო და სატვირთო ლიფტები.

რაც შეეხება ტერმინალების მიმდებარე ტერიტორიას - სამგზავრო ტერმინალის წინ განახლდა გზის ხელოვნური საფარი 7700 მ² ფართობზე. ასევე, მოეწყო ახალი საპარკინგე სივრცეები. ამ ეტაპზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ 1100 ავტომობილზე გათვლილი პარკინგის ზონებია.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მმართველი კომპანია ტავ ჯორჯია საქართველოში უკვე 20 წელია ოპერირებს. ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიის მიერ საქართველოში განხორციელებული ჯამური ინვესტიცია დღეის მდგომარეობით 227 000 000 ამერიკულ დოლარს აჭარბებს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'ın Elektrik Enerjisi İthalatı Pahalandı

საქართველოს ელექტროენერგიის იმპორტი გაუძვირდა

Gürcistan'da elektrik enerjisi ithalatı iki katına çıktı. Gürcistan İstatistik Kurumu verilerine göre, 2024'ün Ocak ayında ülke 160.1 milyon kWh'yi 1.2 milyon ABD Doları karşılığında satın almışken, cari yılın ilk ayında 334.5 milyon kWh ithal edilip değeri 8.73 milyon ABD dolarını aşmıştır.

Veriler, bu sene Gürcistan'ın elektrik enerjisi alımının pahalandığını gösteriyor. Örneğin, geçen yıl 1 kWh için ortalama ithalat fiyatı vergiler hariç 75 cent iken, bu yıl Ocak ayında maliyet 2.61 dolara yükselmiştir. Rakamlar, elektrik ithalatının ülkeye %248 oranında pahalandığını gösteriyor.

Gürcistan'ın elektriği yalnızca Azerbaycan ve Rusya'dan satın aldığı da belirtilmelidir. 2025 yılının Ocak ayında Azerbaycan'dan 8.5 milyon ABD doları, Rusya'dan ise 189 bin ABD doları değerinde elektrik ithal edilmiştir.

İthalattan farklı olarak yerli üretim elektriği ihracatı 24 kat azalmıştır. Daha spesifik olarak, 2024 yılının Ocak ayında 551 bin dolar değerinde 8.47 milyon kWh elektrik ihraç edilmişken, bu gösterge cari yılın ilk ayında 341 bin kWh (22 bin dolar değerinde) olmuştur.

Bu yılın Ocak ayında Gürcü üretimi elektrik ihracatı yalnızca Azerbaycan pazarına gerçekleştirildi.

საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი გაორმაგდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში 2025 წლის იანვარში იმპორტირებულია 334.5 მლნ კვტ.სთ, რისმა ღირებულებამაც 8.73 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ეს კი მაშინ, როცა გასული წლის იმავე თვეში საქართველომ 160.1 მლნ კვტ.სთ 1.2 მილიონ აშშ დოლარად იყიდა.

მონაცემები აჩვენებს, რომ წელს საქართველოს ელექტროენერგიის შემენა გაუძვირდა. მაგალითად, გასულ წელს 1 კვტ.სთ-ის საშუალო საიმპორტო ფასი გადასახადების

გარეშე 75 ცენტი უჯდებოდა, წელს იანვარში კი ღირებულება 2.61 დოლარამდეა გაზრდილი. რიცხვები აჩვენებს, რომ დენის იმპორტი ქვეყანას 248%-ით გაუძვირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ელექტროენერგიას მხოლოდ აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ყიდულობს. 2025 წლის იანვარში აზერბაიჯანიდან იმპორტზე შემოვიდა 8.5 მილიონი აშშ დოლარის ელექტროენერგია, ხოლო რუსეთიდან 189 ათასი დოლარის ღირებულების.

იმპორტისგან განსხვავებით 24-ჯერ შემცირდა ადგილობრივი წარმოების დენის ექსპორტი. უფრო კონკრეტულად, თუ 2024 წლის იანვარში ექსპორტზე გავიდა 551 ათასი დოლარის 8.47 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, ამ მაჩვენებელმა მიმდინარე წლის პირველ თვეში 341 ათასი კვტ.სთ (22 ათასი დოლარის ღირებულების) შეადგინა.

მიმდინარე წლის იანვარში ქართული წარმოების დენი ექსპორტი მხოლოდ აზერბაიჯანის ბაზარზე განხორციელდა.

2024 Yılında Doğrudan Yabancı Yatırımlar %29,9 Azaldı

2024 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 29.9%-ით შემცირდა

Ulusal İstatistik Kurumu'nun ön verilerine göre, Gürcistan'a 2024 yılında gerçekleştirilen doğrudan yabancı yatırımların hacmi bir önceki yılın kesin verilerine kıyasla %29.9 daha az olan 1.333 milyar ABD doları olarak belirlenmiştir.

İstatistiklere göre, azalmaların başlıca nedenini doğrudan yabancı yatırımların iki bileşeninin: hisse sermayesinin ve yeniden yatırımların oranının düşmesi oluşturmaktadır.

Doğrudan yabancı yatırımların bileşenler bazında dağılımına gelince, hisse senedi sermayesinin tutarı bir önceki yılın kesin verilerine göre %60.1 daha az olan 483.7 milyon ABD doları olarak gerçekleşti, yeniden yatırımlar ise bir önceki yıla göre %26.4 daha az olan 1.170 milyar ABD doları teşkil etmiştir.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ᲘᲨᲑᲐᲜᲚᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

2024 Yılı ön verilere göre, en büyük yatırımcı üç ülkenin payı, toplam doğrudan yabancı yatırımların %58,2'sini oluşturmuştur. %33,6 ile birinci sırada Birleşik Krallık, %13,2 ile Malta, üçüncü sırada ise %11,4 ile Hollanda yer almaktadır.

2024 Yılında üç en büyük sektörün payı (Yapılan doğrudan yabancı yatırımlar açısından) %63,9 olarak gerçekleşmiştir. En büyük doğrudan yabancı yatırım, toplam doğrudan yabancı yatırımların %39,5'i teşkil eden finans ve sigorta faaliyetleri sektöründe gerçekleştirilen 526,5 milyon ABD dolarıdır. İkinci sırada, 170,2 milyon ABD doları (%12,8) ile imalat sanayi sektörü, üçüncü sırada ise 155,3 milyon ABD doları (%11,6) ile gayrimenkul sektörü yer almaktadır.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2024 წელს 1.333 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 29.9 პროცენტით ნაკლებია 2023 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს.

მათივე ცნობით, შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის: სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის შემცირება.

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებას კომპონენტების მიხედვით, სააქციო კაპიტალის მოცულობამ 483.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე 60.1 პროცენტით ნაკლებია, ხოლო რეინვესტიციამ 1.170 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე 26.4 პროცენტით ნაკლებია.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2024 წლის წინასწარი მონაცემებით, 58.2 პროცენტი შეადგინა. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 33.6 პროცენტით, მეორეზე - მალტა 13.2 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ნიდერლანდები 11.4 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2024 წელს 63.9 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 526.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 170.2 მლნ. აშშ დოლარით (12.8 პროცენტი), ხოლო მესამეზე - უძრავი ქონების სექტორი 155.3 მლნ. აშშ დოლარით (11.6 პროცენტი),“- აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

2024 Yılında Tarımsal Gıda Ürünleri 107 Ülkeye İhraç Edildi

2024 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 107 ქვეყანაში განხორციელდა

Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı'na göre, 2024 yılında tarımsal gıda ürünleri 107 ülkede ihraç edilmiştir.

2024 Yılı verilerine göre, tarımsal ürünlerin ana ihracat pazarları Rusya, Avrupa Birliği, Azerbaycan, Ermenistan, Kazakistan, Ukrayna ve Kırgızistan oldu.

Tarımsal ürünleri ihracatı, Gürcistan'dan gerçekleştirilen toplam ihracatın %26'sını oluşturmaktadır.

2024 Yılında tarımsal gıda ürünleri ihracatı 107 ülkeye gerçekleştirilerek dış ticaret dengesi %11 oranında azalmıştır.

Temel ihracat ürünleri aşağıdaki gibidir:

Alkol içeren içecekler (186 milyon ABD doları); Şarap (276 milyon ABD doları); Maden ve sade sular (163 milyon ABD doları); Alkolsüz gazlı içecekler (139,1 milyon ABD doları); Kabuklu meyveler (106,2 milyon ABD doları)

2024 yılında Gürcistan'dan Avrupa Birliği ülkelerine bir önceki yılına göre %11 (17.3 milyon ABD doları) daha fazla olan 180 milyon ABD doları değerinde tarımsal gıda ürünleri ihraç edilmiştir.

2024 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა 107 ქვეყანაში, - ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

2024 წლის მონაცემებით, აგროსასურსათი პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია - რუსეთი, ევროკავშირი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, უკრაინა და ყირგიზეთი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LCWAIKIKI ეროვნული ბანკი IŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან განხორციელებული ჯამური ექსპორტის 26%-ს წარმოადგენს.

2024 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა 107 ქვეყანაში. საგარეო ვაჭრობის სალდო შემცირებულია 11%-ით.

ძირითადი საექსპორტო პროდუქტები იყო:

სპირტიანი სასმელები (186 მლნ აშშ დოლარი); ღვინო (276 მლნ აშშ დოლარი); მინერალური და მტკნარი წყლები (163 მლნ აშშ დოლარი); უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (139,1 მლნ აშშ დოლარი); კაკლოვანი კულტურები (106,2 მლნ აშშ დოლარი)

2024 წელს საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულია 180 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 11%-ით (17.3 მლნ აშშ დოლარით) აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

Gürcistan'dan Limonata ve Gazlı İçeceklerin İhracatı %29 Oranında Arttı

საქართველოდან ლიმონათების და გაზიანი სასმელების ექსპორტი 29%-ით გაიზარდა

2025 Yılı Ocak-Şubat döneminde Gürcistan'dan yurt dışına toplam 18 milyon dolar değerinde 17 bin ton limonata ve şekerli-gazlı içeceklerin ihracatı gerçekleştirilmiştir. İhracat yıllık %29 oranında artmıştır.

Gürcistan Ulusal İstatistik Kurumu'na göre, Gürcistan'da üretilmiş limonataların ana ihracat pazarı, 6.000 ton gazlı içeceğin 5,3 milyon ABD doları tutarında ihraç edilen Rusya'dır, fakat bu hacim bir önceki yılın aynı dönemine göre %33,5 oranında azalmıştır. Buna karşılık olarak bu tür ürünlerin Azerbaycan'a ihracatı %254 artarak Ocak-Şubat döneminde 4,5 milyon

dolara ulaşmıştır. İhracat ayrıca Kazakistan ve Özbekistan'a da artış göstererek Ermenistan'a ihracatında düşüş kaydedildi.

Ocak-Şubat 2025'te Gürcistan'dan şekerli-gazlı içecekleri ihracatı aşağıdaki gibi gerçekleştirilmiştir:

İlk 5 ülke:

Ülke	İthalat Hacmi	Ton	Bir Önceki Seneye Göre Artış/Düşüş
Rusya	$5.3 Milyon Dolar	6 Bin Ton	-34%
Azerbaycan	$4.5 Milyon Dolar	3.56 Bin Ton	254%
Kazakistan	$3.1 Milyon Dolar	2.88 Bin Ton	198%
Özbekistan	$1.4 Milyon Dolar	770 Ton	178%
Ermenistan	$1.2 Milyon Dolar	1.18 Bin Ton	-1%

Söz konusu gıda ürünlerinin ithalatına gelince, Gürcistan 2025 yılının Ocak-Şubat döneminde yurtdışından ihracattan altı kat daha az bir rakam olan 2.9 milyon dolar değerinde 2.9 bin ton gazlı içecek satın almıştır. Aralarındaki en büyük rakam - 0.7 milyon dolar değerindeki gazlı içecekler Rusya'dan, 388 bin dolar değerindeki Polonya'dan, 384 bin dolar değerindeki içecekler ise Türkiye'den satın alınmıştır. Bu kategoriye ait ürünlerin ithalatında enerji içeceklerinin ağırlıkta olduğu tahmin edilmektedir.

2025 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან უცხოეთში სულ 18 მილიონი დოლარის ღირებულების 17 ათასი ტონა ლიმონათებისა და შაქრიანი გაზირებული სასმელების ექსპორტი განხორციელდა. ექსპორტი წლიურად 29%-ით გაიზარდა.

საქსტატის თანახმად, ქართული ლიმონათებისთვის მთავარი საექსპორტო ყვეყანა კვლავ რუსეთია, სადაც 5.3 მილიონი დოლარის 6 ათასი ტონა გაზირებული სასმელები გავიდა ექსპორტზე, თუმცა ეს მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 33.5%-ით არის შემცირებული. სანაცვლოდ კი 254%-ით არის გაზრდილი ამ პროდუქციის ექსპორტი აზერბაიჯანში, რამაც იანვარ-თებერვალში 4.5 მილიონ დოლარს მიაღწია. ასევე გაზრდილია ექსპორტი ყაზახეთსა და უზბეკეთშიც, სომხეთში კი შემცირებაა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

2025 წლის იანვარ-თებერვალში ქართული შაქრიანი გაზირებული სასმელების ექსპორტი ასე ნაწილდება - ტოპ 5 ქვეყანა:

ქვეყანა	იმპორტის მოცულობა	ტონა	ზრდა/კლება წინა წელთან
რუსეთი	$5.3 მილიონი დოლარი	6 ათასი ტონა	-34%
აზერბაიჯანი	$4.5 მილიონი დოლარი	3.56 ათასი ტონა	254%
ყაზახეთი	$3.1 მილიონი დოლარი	2.88 ათასი ტონა	198%
უზბეკეთი	$1.4 მილიონი დოლარი	770 ტონა	178%
სომხეთი	$1.2 მილიონი დოლარი	1.18 ათასი ტონა	-1%

რაც შეეხება ამ საქონლის საქართველოში იმპორტს, 2025 წლის იანვარ-თებერვალში საქართველომ 2.9 მილიონი დოლარის ღირებულების 2.9 ათასი ტონა გაზიანი სასმელები იყიდა უცხოეთიდან, რაც ექსპორტზე ექვსჯერ ნაკლები მაჩვენებელია. მათ შორის ყველაზე დიდი მოცულობის - 0.7 მილიონი დოლარის გაზიანი სასმელები რუსეთიდან შემოვიდა, 388 ათასი დოლარის ღირებულების გაზიანი სასმელები შემოვიდა პოლონეთიდან, ხოლო 384 ათასი დოლარის სასმელები კი თურქეთიდან. სავარაუდოდ ამ კატეგორიის პროდუქციის იმპორტში ენერგეტიკული სასმელები ჭარბობს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Ekmeğin en Pahalı/Ucuz Olduğu Ülkeler

ქვეყნები სადაც, პური ყველაზე ძვირი/იაფია

Dünyada ekmeğin en pahalı olduğu ülke ekmek fiyatı 3.75 dolara eşit olduğu İzlandadır. 15 Sente eşit olan en ucuz ekmeği Cezayirde bulabilirsiniz.

İstatistikler Numbeo tarafından güncellenmiştir. Veriler, 127 ülkedeki ekmek fiyatları analizine dayanmaktadır.

Aynı istatistiklere göre, Gürcistan 111. sıradadır, veriler bu ülkede 500 gramlık ekmeğin ortalama 56 sent olduğunu göstermektedir. Gürcistan'ın komşu ülkeleri arasında ekmeğin en pahalı olduğu ülke Türkiye, en ucuzu ise Azerbaycan'dır.

Daha spesifik olarak, komşu ülkelerdeki ortalama ekmek fiyatı aşağıdaki gibidir:

- Türkiye - 95 sent;
- Ermenistan - 81 sent;
- Rusya - 55 sent;
- Azerbaycan - 43 sent.

მსოფლიოში პური ყველაზე ძვირი ისლანდიაში ღირს და 3.75 დოლარს შეადგენს, ყველაზე იაფი კი ალჟირშია, სადაც ფასი 15 ცენტს უტოლდება.

აღნიშნულის შესახებ სტატისტიკა განაახლა Numbeo-მ. მონაცემები 127 ქვეყანაში პურის ფასების ანალიზს ემყარება.

ამავე სტატისტიკის თანახმად, საქართველო 111-ე ადგილზეა, მონაცემები აჩვენებს, რომ 500 გრამიანი პური აქ საშუალოდ 56 ცენტი ღირს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყნებს შორის პური ყველაზე ძვირი თურქეთში, იაფი კი აზერბაიჯანშია.

უფრო კონკრეტულად, სამეზობლოს ქვეყნებში პურის საშუალო ფასი ასე გამოყურება:

- თურქეთი - 95 ცენტი;
- სომხეთი - 81 ცენტი;
- რუსეთი - 55 ცენტი;
- აზერბაიჯანი - 43 ცენტი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ᲑᲐᲜᲙᲘ ᲘᲡᲗᲐᲜᲑᲣᲚᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcü Kuru Meyve İhracatı Arttı

ქართული ჩირის ექსპორტი გაიზარდა

2025 yılının Ocak ayında, geçen yılın ilk ayına kıyasla, Gürcü kuru meyve ihracatı %22 oranında artmıştır. İstatistik Kurumu verilerine göre, bu sene raporlama döneminde 54 tonun üzerinde Gürcü kuru meyve ihraç edilip değeri 233 bin doları aşmıştır; geçen yılın aynı döneminde ise 226 bin dolarlık değere sahip 44 ton kuru meyve ihraç edilmiştir.

İlgi çekici olan hacmin artmasına rağmen fiyatın düşmesidir. Örneğin, geçen sene 1 kg için ortalama ihracat fiyatı vergiler hariç 5 dolar iken, bu sene Ocak ayında fiyat 4.2 dolara düşmüştü.

2025 Yılının Ocak Ayında Gürcü Kuru Meyve Aşağıdaki Pazarlarda Satışa Sunulmuştu:

- Almanya - Yaklaşık 51 ton, 220 000$ (1 kg. ortalama 4.3$);
- Litvanya - 690 kg, 6 000$ (1 kg. ortalama 8.7$);
- Rusya - 2.4 ton, 5 000$ (1 kg. ortalama 2$);
- Polonoya - 90 kg, 760$ (1 kg. ortalama 8.4$);
- Ukrayna - 180 kg, 280$ (1 kg. ortalama 1.5$);
- Ermenistan - 60 kg, 60$ (1 kg. ortalama 1$).

2024 yılı verilerine gelince, Gürcü kuru meyvenin ihracat hacmi 2023 yılına kıyasla %60 artarak 766 ton olarak gerçekleşmiş, değeri ise 1.9 milyon dolar olmuş.

Geçen sene de Gürcü kuru meyveleri için ana pazarı, raporlama döneminde 1.19 milyon dolar değerindeki 322 ton kuru meyve ihraç edilen Almanya pazarı olmuştur. En büyük 5 ihracat pazarı bu şekildedir: Rusya (254 bin dolar, 121 ton), Fransa (207 bin dolar, 69 ton), Ermenistan (160 bin dolar, 159 ton) ve Türkiye (27 bin dolar, 46 ton).

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

2025 წლის იანვარში, გასული წლის იანვართან შედარებით, ქართული ჩირის ექსპორტი 22%-ით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, წელს საანგარიშო პერიოდში ექსპორტზე გავიდა 54 ტონაზე მეტი ქართული ჩირი, რომლის ღირებულებამაც 233 ათას დოლარს გადააჭარბა; გასული წლის იმავე პერიოდში კი ექსპორტზე გავიდა 226 ათასი დოლარის ღირებულების 44 ტონა ჩირი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცულობის ზრდის მიუხედავად, შემცირებულია ფასი. ასე მაგალითად გასულ წელს 1 კგ-ის საშუალო საექსპორტო ფასი გადასახადების გარეშე 5 დოლარი იყო, წელს იანვარში კი 4.2 დოლარამდე შემცირდა.

2025 წლის იანვარში ქართული ჩირი შემდეგ ბაზრებზე გავიდა:

- გერმანია - 220 ათასი დოლარის თითქმის 51 ტონა (1 კგ. საშუალოდ 4.3 დოლარი);
- ლიეტუვა - 6 ათასი დოლარის 690 კგ (1 კგ. საშუალოდ 8.7 დოლარი);
- რუსეთი - 5 ათასი დოლარის 2.4 ტონა (1 კგ. საშუალოდ 2 დოლარი);
- პოლონეთი - 760 დოლარის 90 კგ (1 კგ. საშუალოდ 8.4 დოლარი);
- უკრაინა - 280 დოლარის 180 კგ (1 კგ. საშუალოდ 1.5 დოლარი);
- სომხეთი - 60 დოლარის 60 კგ (1 კგ. საშუალოდ 1 დოლარი).

რაც შეეხება 2024 წლის მონაცემებს, ქართული ჩირის საექსპორტო მოცულობამ გასულ წელს ჯამში 766 ტონა შეადგინა, ღირებულებამ კი 1.9 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2023 წელთან შედარებით 60%-იანი ზრდა იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ წელსაც ქართული ჩირის მთავარი ბაზარი კვლავ გერმანია იყო, სადაც სულ საანგარიშო პერიოდში 1.19 მლნ დოლარის 322 ტონა ჩირი გავიდა. საექსპორტო ბაზრების ხუთეულს კი შემდეგი ქვეყნები ავსებდა: რუსეთი (254 ათასი დოლარის 121 ტონა), საფრანგეთი (207 ათასი დოლარის 69 ტონა), სომხეთი (160 ათასი დოლარის 159 ტონა) და თურქეთი (27 ათასი დოლარის 46 ტონა).

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

AB, Rusya, Türkiye... - Gürcistan Tarımsal Ürünleri Nereden Satın Alıyor?

EU, რუსეთი, თურქეთი... - სად ყიდულობს აგროსურსათს საქართველო?

Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı verilerine göre, 2024 yılında Gürcistan'a tarımsal gıda ürünlerinin başlıca ithalatçıları Avrupa Birliği ülkeleri (%29), Rusya (%22), Türkiye (%13), Ukrayna (%6) ve Brezilya (%5) oldu.

2024 yılın verilerine göre, Gürcistan'a bir önceki yılın göstergesinin %8.8 üzerinde bir artış kaydedilen 2 milyar 196 milyon ABD doları değerinde tarımsal gıda ürünleri ithal edilmiştir.

İthalat en çok Litvanya (38.9 milyon ABD doları; 3 kat), Rusya (33.1 milyon ABD doları; %7), ABD (24 milyon ABD doları; %93), Çin (21.8 milyon ABD doları; %63), Azerbaycan (21.5 milyon ABD doları; %42) ve Ukrayna'dan (20 milyon ABD doları; %17) artmıştır.

Litvanya'dan yapılan ithalatın değeri, geçen yılın aynı rakamına göre 11 kat daha yüksek olan 44,6 milyon ABD doları değerindeki sigara ithalatı nedeniyle bir artışla 58,6 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

Rusya'dan 493 milyon ABD doları değerinde tarımsal gıda ürünleri ithal edilmekte olup, artış esas olarak buğday, alkol ve ayçiçek yağı ithalatından kaynaklanmakta, değeri sırasıyla 19,4 milyon ABD doları, 12,9 milyon ABD doları ve 5,4 milyon ABD doları arttı. Rusya'dan buğday unu ve şeker ithalatının sırasıyla 19 milyon ABD doları ve 11,9 milyon ABD doları ile önemli ölçüde azaldığı belirtilmelidir.

ABD'den ithal edilen ürünlerin değeri ise 49,8 milyon doları buldu. Artışın temel nedeni, değeri sırasıyla 17 milyon ABD doları ve 8,8 milyon ABD doları artarak 22,9 ve 13,3 milyon ABD dolarına yükselen kabuklu meyveleri (ağırlıklı olarak antep fıstığı) ve kümes hayvanı eti ithalatından kaynaklandı.

Çin'den yapılan ithalatın değeri 56.6 milyon ABD dolarıdır. Artış, esasen 11.3 milyon ABD doları artarak 29.8 milyon ABD dolarına ulaşan tavuk eti ithalatından kaynaklanmıştır.

Azerbaycan'dan yapılan ithalatın değeri 72,8 milyon ABD dolarıdır. Artışın büyük bir kısmı, değeri 20,6 milyon ABD doları artarak 32,2 milyon ABD dolarına ulaşan sigara ithalatından kaynaklandı.

Ukrayna'dan yapılan ithalatın değeri 135 milyon ABD doları bulmuştur, artış esas olarak değeri 5,6 milyon ABD doları artarak 17,5 milyon ABD doları ve 13,4 milyon ABD doları teşkil eden çikolata ürünleri ve kümes hayvanı eti ithalatından kaynaklandı.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · თიბისი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Ziraat Bank

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 2024 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი იმპორტიორები იყვნენ: ევროკავშირის ქვეყნები (29%), რუსეთი (22%), თურქეთი (13%), უკრაინა (6%) და ბრაზილია (5%).

გასული წლის მონაცემებით საქართველოში იმპორტირებულია 2 მლრდ 196 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 8.8%-ით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს.

იმპორტი ყველაზე მეტად გაზრდილია ლიეტუვიდან (38.9 მლნ აშშ დოლარი; 3-ჯერ), რუსეთიდან (33.1 მლნ აშშ $; 7%), აშშ-დან (24 მლნ აშშ $; 93%), ჩინეთიდან (21.8 მლნ აშშ $; 63%), აზერბაიჯანიდან(21.5 მლნ აშშ $; 42%) და უკრაინიდან (20 მლნ აშშ $; 17%).

ლიეტუვიდან იმპორტის ღირებულებამ შეადგინა 58.6 მლნ აშშ დოლარი, ზრდა გამოწვეულია სიგარეტის იმპორტით რომლის ღირებულებამ 44.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11-ჯერ აღემატება.

რუსეთიდან იმპორტირებულია 493 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, ზრდა ძირითადად გამოწვეულია ხორბლის, სპირტისა და მზესუმზირის ზეთის იმპორტით, მათი ღირებულება შესაბამისად 19.4 მლნ, 12.9 მლნ და 5.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აღსანიშნავია რომ რუსეთიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ხორბლის ფქვილისა და შაქრის იმპორტი, შესაბამისად 19 მლნ და 11.9 მლნ აშშ დოლარით.

აშშ-დან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 49.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა ძირითადად გამოწვეულია კაკლოვანი ხილის (ძირითადად ფსტა) და ფრინველის ხორცის იმპორტით, რომელთა ღირებულება შესაბამისად 17 მლნ და 8.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 22.9 და 13.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ჩინეთიდან იმპორტის ღირებულება შეადგენს 56.6 მლნ აშშ დოლარს. ზრდა ძირითადად გამოიწვია ფრინველის ხორცის იმპორტმა, რომლის ღირებულება 11.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 29.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აზერბაიჯანიდან იმპორტის ღირებულება შეადგენს 72.8 მლნ აშშ დოლარს. ზრდა ძირითადად გამოიწვია სიგარეტის იმპორტმა, რომლის ღირებულება 20.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 32.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

უკრაინიდან იმპორტის ღირებულებამ 135 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ზრდა ძირითადად გამოწვეულია შოკოლადის ნაწარმისა და ფრინველის ხორცის იმპორტით, მათი ღირებულება 5.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 17.5 მლნ და 13.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.